საერთაშორისო ინერდისციპლინარული ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა სოციალურ მეცნიერებებში.

Title of the Program: Eurasian and Caucasian Studies

პროგრამის სახელწოდება: ევრაზიისა და კავკასიის კვლევები

Degree Offered: Master of Social Sciences (MSocSc)

მისანიჭებელი ხარისხი: სოციალური მეცნიერებების მაგისტრი

Language of Instruction: English

სწავლების ენა: ინგლისური

Number of credits (ECTS): 120 **ECTS**

სწავლების კრედიტები (ECTS): 120 კრედიტი

Aim of the program

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება რეგიონმცოდნეობაში. (ევრაზიისა და კავკასიის რეგიონი)

Prerequisites for the program

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: ბაკლავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია,რომელიმე აკადემიურ სფეროში.

სასურველია საფუძველი ქონდეს სოციალურ მენცნიერებებში.

პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:
ბაკალავრის ხარისხი ან 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი ნებისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა შემდეგ სოციალურ მეცნიერებებში: საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური მეცნიერებები, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო სამართალი, პოლიტიკური გეოგრაფია, საერთაშორისო ეკონომიკა, სამართალი, უცხო ენები.
სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის;
საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;

მაგისტრანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B2 დონეზე. ამ მოთხოვნის შესასრულებლად კანდიდატს შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები), ან ჩააბაროს უცხო ენაში თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა;
კანდიდატთა საბოლოო შერჩევა ხდება სპეციალობაში წერითი გამოცდისა და საგანგებოდ შექმნილ კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე. საგამოცდო საკითხებისა და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რეკომენდაციების ნახვა შეიძლება შემდეგ ვებგვერდზე: https://tsu.ge/ge/faculties/social/hccla0ixc_o-h_tgp/mastprograms//. საკითხავი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიები განთავსებულია თსუ-ს ელექტრონულ ბაზაში..

მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:

საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა.
წერითი გამოცდა სპეციალობაში (40 %) (მინიმალური 51 ქულა)
ინგლისური ენის ტესტი - B2 დონე (20%) (მინიმალური 51 ქულა)
გასაუბრება (40 %) (მინიმალური 51 ქულა)

Overview of the program

პროგრამის აღწერა

ევრაზიისა და კავკასიის კვლევები ყოფილი „ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“ , წარმოადგენს საერთაშორისო ინგლისურენოვან ინტერდისციპლინარულ სამაგისტრო პროგრამას. აღნიშნული ინგლისურენოვანი პროგრამა განუვითარებს სტუდენტს ანალიტიკური აზროვნების უნარს, შეუქმნის ინტერდისციპლინარული ცოდნის საფუძველს და დაეხმარება იმ პროცესების გაანალიზებაში, რომლებიც ჩვენს რეგიონში ხდება. პროგრამა შექმნილია სამხრეთ კავკასიასა და პოსტ საბჭოთა სივრცეში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური, და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესებული სტუდენტებისთვის და აქვს ძლიერი ფოკუსი საერთაშორისო ურთიერთობებზე. პროგრამა შექმნილია დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს ცნობილი უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, მათ შორის ისეთი წამყვანი უნივერსიტეტებისა როგორიცაა: ოქსფორდის უნივერსიტეტი, რატგერსის უნივერსიტეტი, მაუნტჰოლიოქის კოლეჯი, ცენტრალური ევროპის უნვიერსიტეტი და სხვა.
სტუდენტებს ეძლევათ უნიკალური შანსი მიიღონ სოცილაურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი, რომელიც დასავლური განათლების სტანდარტების შესაბამისია. პროგრამის კურსდამთავრებულები მიიღებენ შემდეგ აკადემიურ ხარისხს: სოციალურ მეცნიერებთა მაგისტრი. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი გასცემს დიპლომებს კურსდამთავრებულთათვის. დიპლომის დანართი შეესაბამება ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს ევროპული უნივერსიტეტებისათვის. პროგრამაში მონაწილეობა ან ჩართულობა ასევე შეუძლიათ უცხოელ სტუდენტებსაც.
პროგრამის მიზანია განავითაროს კვლევა ევრაზიასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პროცესებისა და ტრანსფორმაციის შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა იყენებს ინტეგრირებულ მიდგომებს სწავლებებში. ინტეგრირებულ მიდგომებში ჩვენ ვგულისხმობთ: 1) ტრანსოფრმაციაზე საფუძვლიან დაკვირვებას სხვადასხვა მეცნიერული

დისციპლინების კუთხიდან, როგორიცაა პოლიტიკის მეცნიერებები, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სოციოლოგია, სამართალი და ისტორია; 2) კურიკულუმში თეორიული და კვლევითი საგნების კომბინირებას.
სტუდენტებს ასწავლიან და ხელმძღვანელობას გაუწევენ თსუ-ს პროფესორები, ადგილობრივი და უცხოელი ლექტორები, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის (AFP) ყოფილი სტიპენდიანტები, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებში სამუშაო გამოცდილებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები. დროდადრო სტუდენტებისთვის სემინარებსა და ვორკშოფებს ჩაატარებენ ჩრდილოეთ ამერიკის და დასავლეთ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტებიდან საგანგებოდ მოწვეული ლექტორები. სწავლების ენა ინგლისურია.

Structure of the program

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი:

პროგრამა 120 კრედიტიანია და მისი ხანგრძლივობა 2 კალენდარული წელიწადია (ოთხი სემესტრი). პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტიდან 40 კრედიტი სავალდებულო საგანია, 40 კრედიტი არჩევითი საგნებია (პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული არჩევითი საგნების საფუძველზე სტუდენტს ევალება მინიმუმ 40 კრედიტის დაგროვება), 10 თავისუფალი კრედიტი (თუ სტუდენტი დაინტერესებულია ისეთი საგნით, რომელიც ევრაზიისა და კავკასიის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში არ არის მოცემული არჩევითი საგნების ჩამონათვალში, სტუდენტს შეუძლია 10 კრედიტი თსუ-ს ფარგლებში შეთავაზებული სხვა სამაგისტრო პროგრამიდან შეავსოს, რის საშუალებასაც სწორედ ეს 10 თავისუფალი კრედიტი იძლევა). დანარჩენი 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვისთვისაა განკუთვნილი. სწავლის პერიოდში სასურველია სტუდენტმა, განსაკუთრებით მესამე ან მეოთხე სემესტრში გაიაროს სტაჟირება სამთავრობო ან არასამთავრობო სექტორში.
ევრაზიისა და კავკასიის კვლევების საამგიტრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი განისაზღვრება 20 სტუდენტით. სასწავლო ფორმატი მოიცავს ლექციებსა და სემინარებს, რომლებსაც ატარებენ უნივერსიტეტებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, კვლევით ცენტრებში (think tanks) და სამთავრობო სტრუქტურებში დასაქმებული ქართველი და უცხოელი სპეციალისტები და პრაქტიკოსები.
სწავლება სტუდენტზეა ორიენტირეული, კოლაბორაციულია და უნარების განვითარებაზეა დაფუძნებული. სავალდებულო საგნები იკითხება I, II და III სემესტრში და მოიცავს თვისებრივი კვლევის მეთოდებს, სამხრეთ კავკასიის ტრანსფორმაციას, საჯარო პოლიტიკის ანალიზს, პოსტ საბჭოთა პოლიტიკას. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, საერთაშორისო ეკონომიკას და განვითარების ეკონიმიკას. ამავე სემესტრებში სტუდენტებს აქვთ ასევე არჩევითი კურსები: რეგიონული კონფლიქტები და უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში, კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში, საგარეო პოლიტიკის ანალიზი, საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ისტორია, ევროპის ინტეგრაციის ისტორია, ნაციონალიზმის კვლევები: თეორია და პრაქტიკა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, რუსეთის საგარეო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები, ცივი ომი, ევროპეიზაციის ფორმები და შედეგები კავკასიაში და სხვა. მესამე სემესტრში სტუდენტს შეუძლია გაიაროს სტაჟირება და დაიწყოს მუშაობა კვლევით პროექტზე. მთელი მეოთხე სემესტრი ეთმობა სამაგისტრო თემაზე მუშაობას და დაცვას. საგნების 10% -ს ფარავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა.

Learning outcomes

სწავლის შედეგი

ცოდნა და გაცნობიერება	სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს ტრანზიციული სწავლებების საფუძვლებს, სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური, პოლიტიკური, და სოციალური ტრანსოფრმაციის ჩათვლით. ტრანსოფრმაციასთან დაკავშირეულ ანალიზსა და კვლევის მეთოდებს. კურსდამთავრეულს აქვს ანალიზის უნარი, ინერტდისციპლინარული ცოდნის საფუძველი და პრაქტიკული აღქმა იმ პროცესებისა, რომელიც ხდება ევრაზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონში. კურსდამთავრებულს შეუძლია ჩაატაროს თვითკმარი სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევა ტრანზიციულ სწავლებებში. სტუდენტი ფლობს კვლევის შედეგების, როგორც ვერბალური, ისე წერილობითი წარმოდგენის სტანდარტებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	სწავლის წარმატებით დასრულება სტუდენტს საშუალებას აძლევს მოახდინოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ტრანზიციის თეორიული მიდგომების ინტეგრირება პარქტიკულ და კომუნიკაციურ უნარებთან. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ გააცნობიერონ ადგილობრივი, საერთაშორისო და ეროვნული სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებები და შეძლებენ მონაწილოება მიიღონ ამ ქმედებებში. სოციალური კვლევების ჩატარების ცოდნა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს აწარმოონ სამხრეთ კავკასიისა და სხვა პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებზე ხარისხიანი კვლევა. გამომდინარე აქედან პროგრამა ამზადებს მომავალ პრაქტიკოსებს, რომლებიც გეგმავენ გახდნენ მკვლევარები, სააჯრო მოხელეები, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებები და დასაქმდნენ სამთავრობო თუ არა სამთავრობო ორგანიზაციებში.
კომუნიკაციის უნარი	კურსდამთავრებულს შეუძლია აწარმოოს კვლევა დამოუკიდებლად და მოახდინოს კვლევის შედეგის პრეზენტაცია, როგორც ზეპირისტყვიერად, ისე კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით. კურსდამთავრებულს შეუძლია ეფექტური კომუნიკაცია აწარმოოს დაინტერესებულ პირთან, მონაწილეობა მიიღოს გუნდურ მუშაობაში, გაიგოს და კრიტიკულად გაანალიზოს ინგლისურენოვანი ტექსტი.
სწავლის უნარი	შეუძლია სწავლის გაგრძელება დოქტორანტურის საფეხურზე. ატარებს დამოუკიდებლ კვლევას.
დასკვნის უნარი	შეულია დამოუკიდებლად დაგეგმოს კვლევა, მოახიდინოს ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა, ახსნას კვლევა და შეაჯამოს შდეგები; ჩაერთოს დებატებში და მოახიდნოს ეფექტური კომუნიკაცია
ღირებულებები	სტუდენტს აქვს უნარი მოახდინოს საერთაშორისო პოლიტიკური განვითარების ნორმატიული შეფასება. აცნობიერებს მკვლევარის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. კულტურული ტოლერანტობა, ეთნიკური უმცირესობების პატივისცემა, და მულტიკულტურულ საზოგადოებაში მშვიდობიანი თანაცხოვრების სტრატეგიის განვითარება ეს ის ღირებულებებია, რომლებიც პროგრამის კურსის დამთავრებულს გააჩნია.

Methods to achieve the learning outcomes
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

ვერბალური/წერითი
წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე მუშაობა
დემონსტრირების მეთოდი (ვიდეო-აუდიო, ფოტო, PPP მასალების მეშვეობით)
ახსნა–განმარტებითი მეთოდი
დისკუსია/დებატები,
ჯგუფური მუშაობა
შემთხვევის ანალიზი (case-study)

Grading Scheme
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა

შეფასების სისტემა

ქულა	**შეფასება**	შფასების კლასიფიკაცია	GPA
91%-100%	(A) "ფრიადი"	დადებითი	4.0
81%-90%	(B) "ძალიან კარგი"	დადებითი	3.0
71%-80%	(C) "კარგი"	დადებითი	2.0
61%-70%	(D) "დამაკმაყოფილებელი"	დადებითი	1.0
51%-60%	(E) "საკმარისი"	დადებითი	0.5
41%-50%	(FX) "ჩაიჭრა" (გამოცდის გადაბარების უფლებით)	უარყოფითი	0.0
0%-40%	"ჩაიჭრა" (კურსი უნდა გიაორს ხელახლა)	უარყოფითი	0.0

Career Opportunities
დასაქმების სფერო

ევრაზიისა და კავკასიის კვლევების საამგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ:

განახორციელონ კვლევა ტრანზიციულ სწავლებებში და სამხრეთ კავკასიისა და ევრაზიის რეგიონის სოციალურ, ეკონომიკურ, და პოლიტკურ პრობლემებთან დაკავშირეულ საკითხებში ანალიტიკურ ცენტრებსა და კვლევით ორგანიზაციებში.
შეიმუშავონ რეკომენდაციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში და პოსტ საბჭოთა სივრცეში მიმდინარე გამოწვევების შესახებ.
იმუშაონ ანალიტიკოსებად ან სპეციალისტ პრაქტიკოსებად საჯარო და კერძო სექტორში, სამინისტორებში და სსიპ-ში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვა.
დაიკავონ მკვლევარისა და პედაგოგის პოზიციები უნივერსიტეტებში, კვლევით ინსტიტუტებში,
(think-tanks)
სწავლა განაგრძონ საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამაზე ან დოქტურანტურაში

Learning plan

სასწავლო გეგმა

Faculty: Social and Political Sciences

University: Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Name of the educational program: Eurasian and Caucasian Studies

Studies level: MA

Program Suoervisor(s): Assoc. Prof. Pikria Asanishvili

Date of the starting program (academic year): 2012-2013

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

<u>უნივერსიტეტი</u>: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: ევრაზიისა და კავკასიის კვლევები

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი ფიქრია ასანიშვილი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: დადგენილება №57/2011 - 29 ივნისი, 2011, დანართი 56

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი):

დადგენილება №38/2012-28 მაისი, 2012-თ „ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“ ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: **ევრაზიისა და კავკასიის კვლევები**; დადგენილება №73/2012-10 აგვისტო, 2012; დადგენილება №100/2013- 9 სექტემბერი,2013; დადგენილება № 17/2014-19 თებერვალი, 2014; დადგენილება №81/2014-4 სექტემბერი, 2014; დადგენილება №38/2015 - 9 მარტი, 2015; დადგენილება № 137/2015 - 28 დეკემბერი 2015; დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება № 90/2017 - 25 ივლისი, 2017; დადგენილება №91/2018 - 19 მარტი, 2018

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013

Program structure
პროგრამის სტრუქტურა

Courses საფაკულტეტო კურსები/მოდულები											
Mandatory cources - 40 credits (ECTS) საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები 40- კრედიტი (ECTS)											
№	Name of the course სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	Contact hours სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			Independent work სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები	Course admission requirement საგანზე დაშვების წინაპირობა	Semester სწავლების სემესტრი			Lecturer (s) ლექტორი/ ლექტორები
			Lecture ლექცია	Seminar / Working Group სამუშაო ჯგუფი/	შუალედური და დასკვნითი გამოცდები			I	II	III	
1	Qualitative Research Methods თვისებრივი კვლევის მეთოდები	5	15	15	5	90	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე		■		Lia tsuladze ლია წულაძე
2	International Economics საერთაშორისო ეკონომიკა	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე	■			Nino Papachashvili ნინო პაპაჩაშვილი
3	The Politics of South Caucasian states after the Dissolution of USSR სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე	■			Pikria Asanishvili ფიქრია ასანიშვილი
4	Post-Soviet Politics პოსტ-საბჭოთა პოლიტიკა	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე			■	Pikria Asanishvili ფიქრია ასანიშვილი

											Nikoloz samkhradze ნიკოლოზ სამხარაძე
5	Development Economics განვითარების ეკონომიკა	5	15	15	6	89	International Economics საერთაშორისო ეკონომიკა				Nino Papachashvili ნინო პაპაჩაშვილი
6	International Organizations and European Politics in the South Caucasus საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Tamar Khuntsaria თამარ ხუნწარია
7	Foreign Policy of Russia რუსეთის საგარეო პოლიტიკა *	5	15	15	5	90	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Pikria Asanishvili ფიქრია ასანიშვილი Ketevan Chumbadze ქეთევან ჭუმბაძე
8	Theories of International Relations (cross-listing from Diplomacy and IR program) საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები *(დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Eka Akobia ეკა აკობია
Elective courses - 40 credits (ECTS) საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები - 40 - კრედიტი (ECTS)											
9	Regional European Neighborhood Policy ევროპის რეგიონალური სამეზობლო პოლიტიკა	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Mikheil Shavtvaladze მიხელ შავთვალაძე
10	Comparative Politics: From Authoritarianism to Democracy with Adjectives შედარებითი პოლიტიკა: ავტორიტარიზმიდან დემოკრატიამდე	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Nana Macharashvili ნანა მაჭარაშვილი Mikheil Shavtvaladze მიხელ შავთვალაძე
11	Nationalism Studies: Theory and Practice ნაციონალიზმის კვლევები: თეორია და პრაქტიკა	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				David Matsaberidze დავით მაცაბერიძე
12	Historiography and Nationalism in Central Eurasia ისტორიოგრაფია და ნაციონალიზმი ევრაზიაში	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Slavomir Horák სლავომირ ჰორაკი
13	Remembering the Soviet Past in Georgia: Between Memory and History საბჭოთა წარსულის მოგონება საქართველოში: მეხსიერებასა და ისტორიას შორის	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Oliver Raisner ოლივერ რაისნერი
14	Culture and Identities in Changeable Society კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში *(კულტურის და მედიის სოციოლოგიის სამაგისტრო*	5	15	15	4	91	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Lia Tsuladze ლია წულაძე

	პროგრამიდან)										
15	Political Problems in the Middle East *(cross-listing from Diplomacy and IR program)* ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები *(დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Zurab Davitashvili ზურაბ დავითაშვილი Ani Kvirikashvili ანი კვირიკაშვილი
16	Regional Security and Conflicts in the South Caucasus რეგიონალური უსაფრთხოება და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Mikheil Shavtvaladze მიხელ შავთვალაძე
17	National Identity and Foreign Policy of former Post Soviet States პოსტ საბჭოთა ქვეყნების ნაციონალური იდენტობა და საგარეო პოლიტიკა	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Pikria Asanishvili ფიქრია ასანიშვილი
18	Philosophy of Social Sciences სოციალურ მეცნერებათა ფილოსოფია	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Pikria Asanishvili ფიქრია ასანიშვილი
19	Political History of USSR საბჭოთა კავშირის ისტორია	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Timothy Blauvelt ტიმოტი ბლაუველტი
20	International Peace and War საერთაშორისო მშვიდობა და ომი	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Pikria Asanishvili ფიქრია ასანიშვილი
21	Foreign Policy Analysis საგარეო პოლიტიკის ანალიზი *(დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Pikria Asanishvili ფიქრია ასანიშვილი
22	Quantitative Research Methods - Introduction to Applied Statistics using R რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. შესავალი გამოყენებით სტატისტიკაში R-ის გამოყენებით	5	15	15	5	90	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Davit Sichinava დავით სიჭინავა
23	Forms & Consequences of Europeanisation in the Caucasus: Introduction to the Concept and its Application ევროპეიზაციის ფორმები და შედეგები კავკასიაში: შესავალი ცნებაში და მისი გამოყენება	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Oliver Raisner ოლივერ რაისნერი
24	Public Policy of Developed and Developing Countries განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საჯარო პოლიტიკა	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Nodar Tangiashvili ნოდარ ტანგიაშვილი
25	The Cold War ცივი ომი	5	15	15	6	89	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Timothy Blauvelt ტიმოტი ბლაუველტი

26	Politics of Central Asia ცენტრალური აზიის პოლიტიკა	5	30	15	6	74	There is no prerequisite for this course წინაპირობის გარეშე				Pikria Asanishvili ფიქრია ასანიშვილი Slavomir Horak სლავომირ ჰორაკი
Free credits **თავისუფალი კურსები/მოდულები -10 - კრედიტი (ECTS)**											

	სამაგისტრო ნაშრომი				**30 კრედიტი**				
	სემესტრი					**1**	**2**	**3**	**4**
	კრედიტების საერთო რაოდენობა / Total number of ECTS credits:				**120**	**30**	**35**	**25**	

*** ამოქმედდეს 2019 წლის შემოდგომის სემესტრიდან**

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი